ანა ჯაფარიძე •

რეზისტენტული სულიერება, როგორც სისტემის კრიზისის სიმპტომი

აბსტრაქტი

თანამედროვე გლობალურ რეალობაში, რომელიც ჰიპერნორმალიზებული წესრიგის ფონზე ნორმალურობის ილუზიას ქმნის, თავს იჩენს სულიერება, როგორც ორმხრივი ფენომენი. ერთი მხრივ, ის კომერციალიზებულია და ნეოლიბერალური კაპიტალიზმის ენას მოიხმარს - ფუნქციონირებს, როგორც ემოციური თვითრეგულაციის ინსტრუმენტი, კორპორატიული ეფექტიანობის ნაწილი. მეორე მხრივ, არსებობს სულიერების ისეთი ფორმები, რომლებიც ამ ჩარჩოს მიღმა რჩებიან და დომინანტური სისტემის მიმართ წინააღმდეგობას გამოხატავენ - უხმოდ, ხშირად არადისკურსული, მაგრამ ტრანსფორმაციული ჟესტებით.

სტატია სულიერების ორ პოლუსს იკვლევს: როგორც მორჩილების ტექნოლოგიას და სულიერების არადისკურსულ ფორმებს, რომლებშიც დუმილი, შუალედურობა და პარაცენტრული დროითობა პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს - არა კონფრონტაციის, არამედ ყოფის გადალაგების გზით. ინტერდისციპლინური თეორიული ჩარჩო აერთიანებს კრიტიკულ თეორიას, სეკულარიზმის ანთროპოლოგიას, ეგზისტენციურ ფსიქოლოგიასა და დეკოლონიურ ფემინისტურ ხედვებს, ხოლო მეთოდოლოგიურად ეფუძნება აუტოეთნოგრაფიას, დისკურსის ანალიზსა და ფენომენოლოგიურ დაკვირვებას. კვლევაში სულიერება გააზრებულია, როგორც *epistemic rupture* - ცოდნის დომინანტურ წესრიგში გაჩენილი ბზარი, რომელიც ჯერ კიდევ ვერ იძენს პოლიტიკურ ენას, მაგრამ უკვე ასუსტებს მის სიღრმისეულ სტრუქტურებს. სტატია სულიერებას წარმოაჩენს, როგორც **პარაცენტრულ სუბვერსიას** - ძალაუფლების

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი.

უარყოფის ჟესტს, რომელიც გამოიხატება არა დაპირისპირებაში, არამედ შეუთავსებლობაში. სულიერება კრიზისის არენაზე ჩუმად მოქმედი სენსორული აგენტი ხდება. სტატია სულიერებას წარმოაჩენს არა, როგორც რელიგიური რეაქციონერობის ან თვითდახმარების მოდულს, არამედ, როგორც პოლიტიკის ენამდელ, პერიფერიულ ჟესტს, რომელიც ამხელს სისტემის ფარულ დისფუნქციას და გვთავაზობს ტრანსფორმაციული მოქმედების სივრცეს.

შესავალი

თანამედროვე საზოგადოებები ხშირად წარმოდგენილია, როგორც სტაბილური, ორგანიზებული სისტემები, მაშინ, როდესაც სიღრმისეულად ისინი სავსეა ფსიქო-სოციალური დაძაბულობით, ღირებულებითი სტაგნაციითა და ეგზისტენციური კრიზისით. იმ პირობებში, როცა ტრადიციული პოლიტიკური ენები ვერ ასახავენ ამ შიდა წნეხს, სულიერების ალტერნატიული გამოხატულებები იჩენენ თავს - როგორც ინდივიდუალური განცდის, ასევე, კოლექტიური დისონანსის მატარებელი ფორმები.

ადამ კერტისის (2016) ინტერპრეტაციით, რომელიც იური იურჩაკის (2006) კონცეფციას ეფუძნება, ჰიპერნორმალიზაცია იმ პარადოქსულ წესრიგს აღწერს, რომელიც, მიუხედავად აშკარა დისფუნქციისა, ფუნქციონირებას აგრძელებს და სიმშვიდის ილუზიას ინარჩუნებს. ამ კონტექსტში, სულიერება - როგორც დუმილი, როგორც უარი და როგორც ყოფითი წყვეტა - შესაძლოა, მივიჩნიოთ იმ გრძნობითი წინააღმდეგობის ერთ-ერთ ფორმად, რომელსაც ჯერ არ შეუძენია პოლიტიკური ენა, მაგრამ უკვე წვდება სისტემურ სიღრმეს. სულიერება, რომელიც მიშელ ფუკოს (1988) გაგებით შეიძლება აღვიქვათ, როგორც „თვითობის ტექნოლოგია“, ხშირად სისტემური თვითრეგულაციის მექანიზმად იქცევა. პოზიტიური ფსიქოლოგიის ბაზარზე მორგებული თვითშეცნობის გზები იმ მიკროპოლიტიკურ დისციპლინას ასახავს, რომლის მიზანიც მართვადი და თვითრეგულირებადი სუბიექტის ფორმირებაა. თუმცა, ამავე დროს, არსებობს

სულიერი პრაქტიკები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ინსტრუმენ-ტალიზებულ სუბიექტობას - უარყოფენ პროდუქტიულობის ლოგი-კას და ნეოლიბერალურ ნორმატიულობაზე სიმბოლურ უარს განა-სახიერებენ.

ჰერბერტ მარკუზეს (1964) „დიდი უარყოფის“ კონცეფცია ქმნის ჩარჩოს ამგვარი სულიერების პოლიტიკური მნიშვნელობის გასააზრებლად - წინააღმდეგობის ფორმა, რომელიც არ გვთავა-ზობს ალტერნატიულ პროგრამას, არამედ თვითონ ყოფის წესს ცვლის. ანტონიო გრამშის (1971) „პასიური რევოლუციის“ თეორია კი ხსნის, თუ როგორ ითვისებს სისტემა კრიტიკას, აცლის მას სიმ-წვავეს და გარდაქმნილი ფორმით ახდენს მის ინტეგრაციას სისტე-მაში. ამ ფონზე, ტალალ ასადის (1993) სეკულარიზმის ანალიზი ცხადყოფს, რომ ის, რაც ფორმალურად აღიქმება როგორც „არარე-ლიგიური“ სფერო, სინამდვილეში ძალაუფლების სპეციფიკური განზომილებაა, რომელიც თავად რელიგიურის ან რაციონალურის საზღვრებს აწესებს. შესაბამისად, სულიერების აქტუალიზება - თუნდაც უხმო, პირადი ან არარელიგიური ფორმებით - შეიძლება, განვიხილოთ, როგორც ჰეგემონიური ნეიტრალობის რღვევა.

სტატიის მიზანია, გამოიკვლიოს სულიერება არა როგორც ერთი მთლიანობა, არამედ, როგორც წინააღმდეგობრივი ველი, სა-დაც მორჩილება და წინააღმდეგობა ერთმანეთს უპირისპირდება. კვლევა აანალიზებს, თუ როგორ შეიძლება სულიერებამ, ფანონისე-ული (1963) გაგებით, იფუნქციონიროს, როგორც დეკოლონიურმა იმპულსმა, ხოლო ანსალდუას (1987) და სპივაკის (1988) კვალდა-კვალ, როგორც იმ პარაცენტრულმა და ენამდელი ჟესტების სერიამ, რომელთაც ჯერ არ შეუძენიათ პოლიტიკური ენა, მაგრამ უკვე ქმნიან ცვლილების ინტუიციურ პულსს.

თეორიული ჩარჩო

თანამედროვე სულიერების კვლევა მოითხოვს იმ თეორი-ული პარადიგმების გადაკვეთის ანალიზს, რომლებიც მოიაზრებენ ძალაუფლების სტრუქტურებს, სუბიექტურობის ფორმირებას, ჰეგე-

მონიის მექანიზმებსა და კრიზისზე ინდივიდუალური რეაგირების გზებს. მოცემული კვლევა ეყრდნობა ინტერდისციპლინურ თეორიულ ჩარჩოს, რომელიც კრიტიკულ თეორიას, სეკულარობის ანთროპოლოგიასა და ეგზისტენციურ ფსიქოლოგიას აერთიანებს. ამავდროულად, კვლევაში გათვალისწინებულია ის კონცეფტუალური ხედვები, რომლებიც სცდებიან დასავლურ რუბრიკებს და გლობალური, პოსტ-კოლონიური ანალიზი შემოაქვთ.

1. **სუბიექტურობა და თვითობის ტექნოლოგიები – მიშელ ფუკო**

ფუკოს მიერ განვითარებული ცნება „თვითობის ტექნოლოგიები“ (Foucault, 1988) იმ მექანიზმების სიღრმისეულ წვდომაში გვეხმარება, რომლითაც ინდივიდები სისტემის ზეგავლენის ქვეშ საკუთარ თავს აყალიბებენ. ამ თეორიის მიხედვით, ძალაუფლება აღარ მოქმედებს მხოლოდ საგნობრივი ჩაგვრით, არამედ ვითარდება მიკროპოლიტიკურ დონეზე - თვითრეგულაციის, თვითმონიტორინგის და თვითკონტროლის გზით. სულიერი პრაქტიკები, რომლებიც მიმართულია ინდივიდის განტვირთვასა და „თვითშეცნობაზე“, შესაძლოა, სწორედ ამ მექანიზმის ნაწილი იყოს - არა სისტემიდან გასვლის გამომხატველი ჟესტი, არამედ მისი დისციპლინარული სტრუქტურის ნაწილი.

2. **სულიერების პასუხი კრიზისზე - ვიქტორ ფრანკლი და ლოგოთერაპია**

ვიქტორ ფრანკლის კონცეფცია - ნოგენური ნევროზი - აღწერს იმ მდგომარეობას, როდესაც ადამიანს ეგზისტენციური მნიშვნელობის განცდა აკლია, რაც ხშირად გადადის ფსიქო-სოციალურ წყვეტაში (Frankl, 1963). მისი თეორიის თანახმად, სულიერი ძიება არის რეაგირება არა მხოლოდ ინდივიდუალურ ტკივილზე, არამედ კოლექტიური სიცარიელის მდგომარეობაზე. შესაბამისად, ფრანკლის თვალსაზრისით, თანამედროვე სულიერება შეიძლება აღვიქვათ, როგორც ღირებულებითად განლევადი სამყაროსგან დისტან-

ცირების მცდელობა - მცდელობა, რომელიც არ ცვლის გარესამყაროს, მაგრამ ცვლის ადამიანის შიდა წესრიგს.

3. სულიერება, როგორც კულტურული წინააღმდეგობა - ჰერბერტ მარკუზე და დიდი უარყოფა

ჰერბერტ მარკუზეს (1964) ნაშრომში *One-Dimensional Man* სულიერება განიხილება, როგორც ერთგანზომილებიანი, ტოტალური საზოგადოებისთვის „დიდი უარყოფის“ პოტენციური სივრცე. იგი ამტკიცებს, რომ მაშინ, როცა საზოგადოება აყალიბებს უნივერსალურ სტანდარტებს აზროვნებისა და ყოფის შესახებ, ყოველგვარი უარყოფა - მათ შორის სულიერი - პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს. მარკუზესთვის ეს უარყოფა შეიძლება არ გამოიხატებოდეს აქტიურ კონფრონტაციაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არის კულტურული წყვეტა, რომელიც ხელს უწყობს სისტემის ღირებულებითი ჰომოგენურობის რღვევას.

4. ჰეგემონიის რეპროდუქცია და წინააღმდეგობის შთანთქმის მექანიზმები - ანტონიო გრამში

გრამშის (1971) „პასიური რევოლუციის“ კონცეფცია მკაფიოდ აღწერს იმას, თუ როგორ ითვისებს სისტემა მის მიმართ არსებულ წინააღმდეგობას ისე, რომ ფორმალურად აღიარებს მას, მაგრამ შინაარსობრივად აცლის პოლიტიკურ სიმძაფრეს. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა სულიერ პრაქტიკებში, რომლებიც სისტემამ პროდუქტებად გარდაქმნა - კორპორატიული კონცენტრაცია (mindfulness), ჯანმრთელობისა და განტვირთვის კომერციული ბანაკები (wellness retreats) და სპირიტუალური „ბრენდინგი“ სწორედ ის ფორმებია, რომლებშიც სისტემა წინააღმდეგობას თვითრეგულაციის ინსტრუმენტად გარდაქმნის. თუმცა გრამშის მოდელი ასევე გულისხმობს, რომ არსებობს წინააღმდეგობის ფორმები, რომლებიც ჯერ არ ექვემდებარებიან სრულ კაპტაციას და ინარჩუნებენ ტრანსფორმაციულ პოტენციალს.

5. სეკულარიზმის ძალაუფლება და სულიერების პოლიტიზაცია - ტალალ ასადი

ტალალ ასადი (1993) ამტკიცებს, რომ სეკულარიზმი არ არის ნეიტრალური, აპოლიტიკური წყობა, არამედ ძალაუფლების სისტემა, რომელიც განსაზღვრავს, რა ითვლება ლეგიტიმურად რელიგიურად, სულიერად ან რაციონალურად. მისი ხედვით, სულიერების დაბრუნება - თუნდაც ინდივიდუალურ ან „არარელიგიურ“ ფორმებში - სეკულარული ჰეგემონიის პირობებში არშემდგარი ნეიტრალობის კრიტიკას წარმოადგენს. სულიერების გამოვლინებები, რომლებიც ამ წესრიგს ეწინააღმდეგებიან, ქმნიან სივრცეებს, სადაც ჭეშმარიტება და რეალობა ლიბერალური ლოგიკით აღარ განისაზღვრება.

6. დეკოლონიური და ფემინისტური შეხედულებები

ფრანც ფანონის (1963) ანალიზში სულიერება წარმოჩნდება, როგორც დეკოლონიური წინააღმდეგობის ნაწილი - სივრცე, სადაც კულტურული თვითმყოფადობის აღდგენა პოლიტიკურ ემანსიპაციას ემსახურება. სილვია ფედერიჩი (2004) აღწერს, როგორ იქცა ქალის სხეული და სულიერი ცოდნა კაპიტალიზმის მსხვერპლად, რაც ხაზს უსვამს იმ ისტორიულ პარალელებს, სადაც სულიერება ძალაუფლების და წინააღმდეგობის გადაკვეთის ადგილი იყო. ეშონ ქროული (2017), თავის მხრივ, ამტკიცებს, რომ შავკანიანთა პენტეკოსტალური სუნთქვის ესთეტიკა (*Blackpentecostal breath*) არის არა მხოლოდ სულიერი ჟესტი, არამედ არაფორმალური პოლიტიკურობა, რომელიც დასავლური აღქმის სტანდარტებს სცდება.

7. პარაცენტრული სივრცე, როგორც წინააღმდეგობის ტოპოსი

გლორია ანსალდუას (1987) ნაშრომში *Borderlands* გვხვდება „პარაცენტრულობის“ ცნება - სივრცე, რომელიც არ მდებარეობს ძალაუფლების ცენტრში, მაგრამ სწორედ ამ პერიფერიულობიდან გამომდინარე ყველაზე მეტად ავითარებს კონფლიქტს და შემოქმედებით პოტენციალს. მისთვის ეს არის დავის და ნორმიდან გადახვევის ადგილი, სადაც სუბიექტები ქმნიან ახალ ენებს, პრაქსისებს და კოდებს. სპირიტუალიზმი, როგორც სისტემასთან სიმბოლური წყვეტა, სწორედ ამგვარ პერიფერიად შეიძლება განვიხილოთ - იგი

ძალაუფლებას არ ებრძვის ფრონტალურად, არამედ უგულებელ-ყოფს მის ღირებულებით ცენტრს და ამით უპირისპირდება მას.

8. ჰიპერნორმალიზაცია და სისტემური სიმშვიდის დისფუნქცია -ადამ კერტისი / იური იურჩაკი

ადამ კერტისის დოკუმენტური ნარატივი *HyperNormalisation* (2016), რომელიც გვიანი საბჭოთა სისტემის შესახებ იური იურჩაკის (2006) ანალიზს ეფუძნება, იმ მდგომარეობას აღწერს, რომელშიც სოციალური წესრიგი გარედან „ნორმალურად“ ჩანს, მაგრამ რე-ალურად იმპლოდირებულია. ამ კონტექსტში, სულიერება - რო-გორც დუმილი, როგორც უარი, როგორც სიმშვიდის მოთხოვნა - არ უნდა განვიხილოთ სისტემის სიმტკიცის ნიშანად, არამედ ბზარის, კრიზისისა და არაღიარებული წინააღმდეგობის ფორმად.

9. ცოდნის რადიკალური ბზარის თეორია - Fanon და Spivak

ფრანც ფანონის (1963) და გაიატრი სპივაკის (1988) თვალსაზ-რისით, კოლონიური და პოსტ-კოლონიური გამოცდილება ისეთ სუბიექტებს აყალიბებს, რომელთა მეტყველება სისტემის ენაში ან სუსტდება ან საერთოდ ვერ ისმინება. სპივაკის „შეუძლია თუ არა სუბალტერნს საუბარი?“ კითხვა უკვე მიანიშნებს იმპლიციტურ პასუხზე - არა მაშინ, როდესაც დომინანტური დისკურსი განსაზღ-ვრავს, თუ რა შეიძლება, გაჟღერდეს. ამ კონტექსტში, სულიერება შეიძლება დავინახოთ, როგორც „epistemic rupture“ - ცოდნის სისტე-მაში წარმოქმნილი ბზარი, რომელიც არ ქმნის ახალ დისკურსს, არამედ არღვევს ძველის თვითნებადობას. ის გამოხატულება, რო-მელიც პოლიტიკურ ენად ჯერ არ ჩამოყალიბებულა, მაგრამ უკვე ქარგავს ცვლილების ინტუიციურ ფენომენოლოგიას.

10. დუმილი, როგორც სულიერი ქარიზმა

ეშონ ქროული (2017) შავკანიანთა პენტეკოსტალურ გამოც-დილებას აფასებს, როგორც სულიერი სუნთქვის პოლიტიკას, რომე-ლიც არ საჭიროებს ლოგოცენტრულ მეტყველებას, რათა იფუნქცი-ონიროს. ამ თვალსაზრისით, დუმილი შეიძლება მოვიაზროთ არა როგორც პასიურობად, არამედ როგორც სპირიტუალურ ქარიზმად

- ისეთ მდგომარეობად, რომელიც უარს ამბობს დომინანტური მნიშვნელობების თამაშზე. დუმილი, ამ კონტექსტში, სუბვერსიული ჟესტი ხდება, რომელიც ხმაურის ტირანიას არღვევს და სიღრმისეულ, არადისკურსულ წინააღმდეგობას ქმნის.

11. დროითობის კრიტიკა და ალტერნატიული დრო (Rosa, Turner)

ჰარტმუტ როზა (2019) ამტკიცებს, რომ ნეოლიბერალური საზოგადოება ინდივიდის სუბიექტურობის დეფორმირების მიზანზე ორიენტირებული ქრონოლოგიით დროს „აჩქარებს“. ამ ფონზე, ვიქტორ ტერნერის (1969) „ლიმინალური დრო“ გვთავაზობს ალტერნატიულ ხედვას - რიტუალის დროითობა, როგორც შეჩერების, გარდაქმნის ან „შუალედური მდგომარეობის“ გამოცდილება. სწორედ ასეთ გამოცდილებად შეიძლება ჩავთვალოთ სულიერება - ის არღვევს დომინანტურ დროითობას, ქმნის ციკლურობას, სიმშვიდეს ან ჭვრეტის დროს, რომელიც ემოციურად და ონტოლოგიურად შეუთავსებელია სწრაფვის ეკონომიკასთან. ამან შეიძლება პოლიტიკური ღირებულებაც შეიძინოს - დროის რეპოლიტიზაციის სახით.

დასკვნა თეორიული ჩარჩოსთვის

მოცემული თეორიული ჩარჩო აჩვენებს, რომ სულიერება არ არის ერთმნიშვნელოვანი ფენომენი. ის ერთდროულად შეიძლება იყოს ძალაუფლების რეპროდუქციის იარაღიც და იმავე ძალაუფლებისთვის მიუწვდომელი ზონაც. თეორეტიკოსთა ხედვები აყალიბებს იმ მრავალშრიანი პარადიგმის კონსტრუქციას, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება სულიერების, როგორც წინააღმდეგობრივი ძალის, გააზრება.

მეთოდოლოგია

მოცემული კვლევა ეფუძნება ინტერდისციპლინურ თვისებრივ ანალიზს, რომელიც აერთიანებს პოლიტიკური ანთროპოლოგიის, რელიგიის სოციოლოგიისა და კრიტიკული თეორიის მიდგო-

მებს. მისი მიზანია წინააღმდეგობრივი სპირიტუალიზმის, როგორც სუბიექტური და სტრუქტურული რეაქციის გააზრება არა რაოდენობრივ-კორელაციური მეთოდებით, არამედ სიღრმისეული, კონცეპტუალური და დისკურსული დაკვირვებით.

ცენტრალურ ადგილს იკავებს აუტოეთნოგრაფია -მკვლევრის პირადი გამოცდილების გაანალიზება იმავე პროცესებში, რომლებიც კვლევის საგანს წარმოადგენენ. აუტოეთნოგრაფია გამოიყენება არა როგორც თვითრეფლექსია, არამედ როგორც ემპირიული წვდომის ერთ-ერთი გზაა იმ სოციალურ და კულტურულ მოცემულობებზე, რომლებიც არ ექვემდებარებიან პირდაპირ გაზომვას, თუმცა მოქმედებენ სუბიექტის გრძნობასა და განწყობაზე. აქ პირადი გამოცდილება იქცევა ანალიტიკური კატეგორიის ნაწილად, რომელიც ფენომენის არსში წვდომას ამარტივებს.

მეთოდოლოგია, ასევე, მოიცავს დისკურსის ანალიზს, რომლის ფარგლებშიც ხდება სულიერებასთან დაკავშირებული ტექსტების, მედია მასალისა და მანიფესტების გარჩევას, რათა გამოიკვეთოს ის სიმბოლური კოდები, რომლებითაც ხორციელდება როგორც ჰეგემონური ჩარევა, ისე წინააღმდეგობრივი პოზიციონირება. ყურადღება დაეთმო ორი ძირითადი ტიპის იდენტიფიცირებას: (1) სპირიტუალიზმი, რომელიც ფუნქციონირებს, როგორც ნეოლიბერალური თვითმართვის ინსტრუმენტი; და (2) სპირიტუალიზმი, რომელიც ხელს უწყობს სისტემის შიდა ლოგიკისგან დისტანცირებას.

შედეგები და განხილვა

1. სულიერება როგორც რეაქცია სისტემურ კრიზისზე

კვლევის ანალიზი აჩვენებს, რომ თანამედროვე სულიერება ორ ძირითად ტრაექტორიას მიჰყვება:

ერთი მხრივ, მას ახასიათებს მძლავრი კომერციალიზაცია და სისტემასთან ინტეგრაცია. ასეთი სპირიტუალიზმი ხშირად იჩენს თავს ნეოლიბერალური თვითდახმარების ენის ფარგლებში - რო-

გორც თვითრეგულაციისა და სტრესის მართვის ინსტრუმენტი. იგი ემსახურება სტატუს-კვოს შენარჩუნებას და არ უპირისპირდება დომინანტურ ღირებულებებს.

მეორე მხრივ, გამოვლენილია სულიერი პრაქტიკები, რომლებიც არ ცდილობენ მოერგონ არსებული სისტემის ჩარჩოებს. ისინი არც პროდუქტიულობის იდეალზე არიან აგებული, არც თვითბრენდინგზე - პირიქით, ეს არის ალტერნატიული არსებობის ფორმები, რომლებიც სისტემური წნეხის უარყოფას და შიდა ტრანსფორმაციას ემსახურებიან.

ეს ორი ტრაექტორია ხშირად თანაარსებობს ერთსა და იმავე სივრცეში, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სულიერების წინააღმდეგობრივ ბუნებას. ის შეიძლება ერთდროულად იყოს სისტემის ნაწილი და მისი კრიტიკა.

2. დუმილი, როგორც წინააღმდეგობის ფორმა

დუმილი, როგორც პოლიტიკური ჟესტი, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს თანამედროვე სულიერ პრაქტიკებში. მას შეიძლება არ ჰქონდეს განსაზღვრული პოლიტიკური ენა და ეს, გარკვეულწილად, უკვე მიანიშნებს სისტემასთან წყვეტაზე. დუმილი, ამ შემთხვევაში, არ არის ინდიფერენტულობა - არამედ შეგნებული, გრძნობაზე დაფუძნებული პასუხი, რომელიც სისტემურ მოთხოვნებს უარყოფს. ასეთი დუმილი ხშირად აღიქმება, როგორც „დიდი უარყოფა“ (მარკუზე, 1964), რომელიც ხმამაღალ კონფრონტაციას არ საჭიროებს და ღირებულებით დისტანციას აყალიბებს.

სპირიტუალიზმი შეიძლება ჩაითვალოს სისტემური კრიზისის სიმპტომად, რომელიც, საბოლოოდ, არსებული სისტემის იმპლოზიას იწვევს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი არა მიზანმიმართულად, არამედ არაპირდაპირი გზით ვითარდება. სპირიტუალიზმი, კლასიკური გაგებით, მიზნად არ ისახავს სისტემის რღვევას და მისი მოტივაცია კრიტიკული ან დესტრუქციული არ არის. პირიქით - მისი ფუნდამენტური მიზანია შინაგანი პროცესის გააქტიურება და ინდივიდუალური ცენტრის პოვნა. სწორედ ამ

პროცესში ხდება არსებული სისტემა (რომელიც არ შეესაბამება ამ თვითძიების ლოგიკას) შეუთავსებელი და, შესაბამისად, თვითდაშლისკენ მიდრეკილი. ამ კონტექსტში, სპირიტუალიზმის პოლიტიკური პოტენციალი განისაზღვრება არა ბრძოლისკენ ან გარდატეხისკენ პირდაპირი მისწრაფებით, არამედ მის უნარით -გარდაქმნას სისტემა საკუთარი მიზნებისა და ენერგიის რადიკალურად განსხვავებული მიმართულებით ფოკუსირების გზით: არასწორის დანგრევის ნაცვლად - სწორის პოვნით.

3. სულიერება როგორც სიმბოლურ-პოლიტიკური მოქმედება

დეკოლონიური და ფემინისტური თეორიების კონტექსტში სულიერება გვევლინება ძალაუფლების რეპრესიული სისტემებისადმი ეპისტემოლოგიური წინააღმდეგობის ფორმად. ქალთა ინიციატივები, რომლებიც მიმართულია არაპატრიარქალური სულიერი გამოცდილებისკენ, კაპიტალისტური სისტემის ერთგვარ გენდერულ კრიტიკას წარმოადგენს. ისევე, როგორც ფედერიჩი (2004) აღწერს ისტორიულად ქალის სხეულის სულიერ ექსპლუატაციას, თანამედროვე მაგალითები ამ სხეულის სიმბოლური და რეალური აღდგენისკენ მიგვანიშნებენ. ფანონის (1963) პერსპექტივით, სულიერება შეიძლება აღვიქვათ, როგორც დე-კოლონიური იდენტობის ხელახალი ფორმირება - სივრცე, სადაც პოლიტიკურობა ვლინდება არა წესების დარღვევით, არამედ ახალი წესრიგის ინტუიციური შეგრძნებით.

4. დროის რეპოლიტიზაცია

ადამ კერტისისა და იური იურჩაკის კონცეფციებზე დაყრდნობით, თანამედროვე სულიერი პრაქტიკები არღვევენ დომინანტურ დროითობას - არ არიან მოქცეული ყოველდღიური პროდუქტიულობის რეჟიმში და უარყოფენ სწრაფვისა და მიზნის დიქტატს. მაგალითად, მინდობის, რიტუალურობის ან ყოფის ციკლურ რეჟიმებში დროს აღარ აქვს ის ფუნქცია, რომელსაც მას ნეოლიბერალური კულტურა ანიჭებს. ამგვარი დროითობა სისტემური სიმშვიდის

დისფუნქციურ ველს ქმნის - დრო, რომელიც თითქოს არაფერს ემსახურება, სინამდვილეში უარყოფს დომინანტურ რიტმს და დროს წარმოაჩენს, როგორც ძალაუფლების მექანიზმის, ალტერნატიულ განზომილებას.

5. შუალედურობა და წინააღმდეგობრივი სულიერების ბუნება

აუტოეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ წინააღმდეგობრივი სულიერება არ არის სრულად ჩამოყალიბებული პოლიტიკური პოზიცია. ის არის **შუალედური, ტრანზიციური მდგომარეობა**, რომელიც სისტემისადმი სიმპათიითაც შეიძლება ხასიათდებოდეს და მისი უარყოფითაც - როგორც ჟესტი, განწყობა ან ყოველდღიური ქცევა, რომელიც აცდენილია სისტემურ ლოგიკას. ამგვარი პრაქტიკები ხშირად არ არის მიზანმიმართულად წინააღმდეგობრივი, მაგრამ კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს. ისინი ქმნიან სივრცეს, სადაც ინდივიდი სისტემის გარეთ მოძრაობას იწყებს - არა დეკლარირებით, არამედ არსებობის ფორმით.

დასკვნა

ამგვარად, წინააღმდეგობრივი სპირიტუალიზმი ფუნქციონირებს, როგორც სენსორული დისონანსის მედიუმი - სხეულით განცდილი წყვეტა იმ კულტურულ ნორმებთან, რომლებიც „ნორმალური“ ყოფის კრიტერიუმებს (Merleau-Ponty; Stewart) განსაზღვრავენ. ეს დისონანსი პოლიტიკური ენის მიღმაა და უკვე არღვევს წესრიგის იმპლიციტურ სტრუქტურებს.

მისი ტრანსფორმაციული პოტენციალი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ არის ანტაგონისტური ძალა, კლასიკური გაგებით, არამედ პერიფერიული, ან თუნდაც პარაცენტრული განზომილება (Anzaldúa), რომელიც არ უტევს ცენტრს, არამედ ყურადღება გადააქვს მისგან - ქმნის ცვლილების პერიფერიას. ეს სპირიტუალიზმი არ გვევლინება, როგორც დეკლარირებული ბრძოლა,

არამედ როგორც სუბვერსიული ყოფიერება - ყოველდღიური ყოფის ისეთი ფორმები, რომლებიც უარს ამბობენ დომინანტური სისტემის ღირებულებით ჩარჩოებზე (Foucault, 1988; de Certeau, 1984). მისი ჟესტები არ გამოხატავენ ბრძოლის მდგომარეობას, არამედ ტოვებენ სისტემის ლოგიკას და ამითვე არღვევენ მას.

ამ სივრცეში იბადება ის, რასაც შეგვიძლია ვუწოდოთ epistemic rupture - ცოდნის დომინანტური წესრიგის ბზარი (Fanon, Spivak). სპირიტუალიზმი, ამ კონტექსტში, არ ცვლის იდეებს ან მტკიცებებს, არამედ ალტერნატიულ გრძნობადობას აცოცხლებს - იმ გამოცდილებას, რომელსაც დისკურსი ჯერ ვერ მოიცავს. ამასთან, იგი უარყოფს დომინანტურ ტელეოლოგიურ დროითობას - ნეოლიბერალურ ქრონოლოგიას, რომელიც აგებულია მიზანს, პროგრესსა და პროდუქტიულობაზე (Rosa, 2019). მისი ნაცვლად ჩნდება რიტუალის დროითობა (Turner, 1969) - რომელიც წარმოქმნის **საკრალური პაუზის მომენტს** - დროის წყვეტის, შებრუნების ან გაბატონებულიდან ამოსვლის ჟესტს. ეს დრო ჰეგემონურ რიტმს არღვევს და ახალი, ინტუიციური პოლიტიკური გააქტიურების შესაძლებლობას ქმნის. როდესაც სპირიტუალიზმი არ საუბრობს, ამ დუმილში შეიძლება დუმილის ქარიზმა გამოიკვეთოს - არადისკურსული, თუმცა, სიღრმისეულად გავლენიანი სულიერი გამოხატულება (Crowley, 2017), რომელიც უკვე ნიშნავს წინააღმდეგობას. ეს დუმილი არ არის ინერტული, არამედ ონტოლოგიურ დისონანსს ქმნის - ყოფიერების ისეთ ფორმას, რომელიც არსებული წესრიგის ყოვლისმომცველობაზე აგებულ რეალობასთან შეუთავსებელია (Butler, Wynter). შესაბამისად, წინააღმდეგობრივი სპირიტუალიზმი არ პასუხობს კრიზისს, არამედ მის ფენომენოლოგიურ არქიტექტურას არღვევს - იმ სიღრმისეულ სტრუქტურას, რომლის საშუალებითაც კრიზისი ჩნდება, იგრძნობა და კულტურულად ეფექტური ხდება (Ahmed; Berlant).

ის, რაც უმოქმედობას ჰგავს, სინამდვილეში შეიძლება **უნატიფესი წინააღმდეგობა იყოს**, რომელიც პირდაპირ არ უპირისპირ-

დება ძალაუფლებას, არამედ *მის კოდებს ჩუმად, ყოფითად, უარით ანადგურებს.* ეს ნიშნავს, რომ: წინააღმდეგობა უკვე იწყება იქ, სადაც სუბიექტი მიზნისკენ სვლას წყვეტს. ტრანსფორმაცია იწყება არა დოკუმენტით, არამედ ერთი კონკრეტული დღის უარყოფით. სულიერება აღარ არის რეაქცია პოლიტიკაზე - ის ხდება პოლიტიკის ენაზე უარის თქმის გზა, და ამგვარად, *ახალი პოლიტიკური მგრძნობელობის დასაწყისი.* მაშინ, როდესაც ტრადიციული პოლიტიკა ვერ ახერხებს კრიზისის სახელდებას, წინააღმდეგობრივი სპირიტუალიზმი გვთავაზობს იმ *ენამდელ* ფორმას, რომელშიც უკვე იკითხება ცვლილება - არა იდეის სახით, არამედ ინტუიციის, ჟესტის, შინაგანი მუხტის, ყოფის წყვეტის სახით.

ეს სტატია არ სრულდება კითხვით: „არის თუ არა სულიერება პოლიტიკური?“ - არამედ ამტკიცებს, რომ **სულიერება იქცა ენად, რომელზეც პოლიტიკური ჯერ ვერ საუბრობს, მაგრამ რომელიც უკვე იწყებს პოლიტიკურად მოქმედებას.**

ბიბლიოგრაფია

Ahmed, S. (2014). *The cultural politics of emotion* (2nd ed.). Edinburgh University Press.

Anzaldúa, G. (1987). *Borderlands/La Frontera: The new mestiza*. Aunt Lute Books.

Asad, T. (1993). *Genealogies of religion: Discipline and reasons of power in Christianity and Islam*. Johns Hopkins University Press.

Berlant, L. (2011). *Cruel optimism*. Duke University Press.

Butler, J. (1997). *The psychic life of power: Theories in subjection*. Stanford University Press.

Crowley, A. (2017). *Blackpentecostal breath: The aesthetics of possibility*. Fordham University Press.

Curtis, A. (Director). (2016). *HyperNormalisation* [Film]. BBC.

de Certeau, M. (1984). *The practice of everyday life* (S. Rendall, Trans.). University of California Press.

Durkheim, E. (1912). *Les formes élémentaires de la vie religieuse* [The elementary forms of the religious life]. Alcan.

Fanon, F. (1963). *The wretched of the earth* (C. Farrington, Trans.). Grove Press. (Original work published 1961)

Federici, S. (2004). *Caliban and the witch: Women, the body and primitive accumulation*. Autonomedia.

Foucault, M. (1988). Technologies of the self: A seminar with Michel Foucault. In L. H. Martin, H. Gutman, & P. H. Hutton (Eds.), *Technologies of the self* (pp. 16–49). University of Massachusetts Press.

Frankl, V. E. (1963). *Man's search for meaning: An introduction to logotherapy*. Beacon Press.

Gramsci, A. (1971). *Selections from the prison notebooks* (Q. Hoare & G. Nowell Smith, Eds. & Trans.). International Publishers.

Marcuse, H. (1964). *One-dimensional man: Studies in the ideology of advanced industrial society*. Beacon Press.

Marx, K. (1970). A contribution to the critique of Hegel's philosophy of right: Introduction. In *Critique of Hegel's philosophy of right* (pp. 129–142). Cambridge University Press. (Original work published 1844)

Merleau-Ponty, M. (1962). *Phenomenology of perception* (C. Smith, Trans.). Routledge & Kegan Paul.

Rosa, H. (2019). *Resonance: A sociology of our relationship to the world* (J. C. Wagner, Trans.). Polity Press.

Spivak, G. C. (1988). *Can the subaltern speak?* In C. Nelson & L. Grossberg (Eds.), *Marxism and the interpretation of culture* (pp. 271–313). University of Illinois Press.

Turner, V. (1969). *The ritual process: Structure and anti-structure*. Aldine Publishing.

Weber, M. (1905). *Die protestantische Ethik und der Geist des Kapitalismus* [The Protestant ethic and the spirit of capitalism]. Mohr Siebeck.

Yurchak, A. (2006). *Everything was forever, until it was no more: The last Soviet generation*. Princeton University Press.

Ana Djaparidze

Resistant Spirituality as a Symptom of Systemic Crisis

Abstract

In the contemporary global context—where a hypernormalized order persistently maintains the illusion of normalcy—spirituality emerges as a dual phenomenon. On one hand, it is commodified and speaks the language of neoliberal capitalism, functioning as a tool of emotional self-regulation and a component of corporate efficiency. On the other hand, there are forms of spirituality that exist outside this framework and express resistance to dominant systems—silent, often non-discursive, yet nonetheless transformative gestures.

This article explores these two poles of spirituality: as a technology of compliance, and as non-discursive formations wherein silence, liminality, and paracentral temporality acquire political significance—not through confrontation, but by reconfiguring being itself. The interdisciplinary theoretical framework integrates critical theory, the anthropology of secularism, existential psychology, and decolonial feminist perspectives. Methodologically, the study employs autoethnography, discourse analysis, and phenomenological reflection.

The research offers a reading of spirituality as *epistemic rupture*—a crack within the dominant regime of knowledge that has yet to find political articulation, but already destabilizes its deeper structures. The article frames spirituality as **paracentral subversion**—a gesture of refusal that does not present itself as an adversary of power, but rather as something incompatible with it. Spirituality becomes a sensory agent operating silently within the terrain of crisis. Thus, it is not portrayed as religious reaction or a self-help module, but as a pre-political, peripheral gesture that reveals systemic dysfunction and opens the possibility for transformational agency.